

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №139

2014 წლის 12 თებერვალი

### ქ.თბილისი

#### თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი (დანართის შესაბამისად), რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება.

#### მუხლი 2

შესაბამისი საჯარო დაწესებულების საკადრო სამსახურის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში – საჯარო სამსახურის ბიურო) წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

#### მუხლი 3

შესაბამისი საჯარო დაწესებულების საკადრო სამსახურის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სადეკლარაციო თანამდებობის შეცვლის ან შესაბამისი საშტატო ერთეულის გაუქმების, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების სტრუქტურაში ცვლილების ან დამატების შეტანის შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა წერილობით აცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროს.

#### მუხლი 4

საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით, დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ბიურო.

#### მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

#### იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება

##### თავი I

#### საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები

#### მუხლი 1

1. საქართველოს პრეზიდენტი.
2. საქართველოს პარლამენტის წევრი.
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი.
4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები.



5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.

## თავი II

### საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები

#### მუხლი 2

1. საქართველოს მინისტრის მოადგილე.
2. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.
3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელების მოადგილეები.
4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და მათი მოადგილეები.
5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

#### მუხლი 3

##### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში:

- ა) ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- თ) პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- მ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 იანვრის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 17.01.2017წ.

#### მუხლი 4

##### საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში:



- ა) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- დ) გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ზ) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თ) ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;
- კ) ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- მ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №642 – ვებგვერდი, 24.12.2015წ.*

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №392 - ვებგვერდი, 15.08.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №571 - ვებგვერდი, 26.12.2016წ.*

## **მუხლი 5**

### **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში:**

- ა) მაკროეკონომიკური ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ბ) რეგულირების გავლენისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- გ) ეკონომიკური ზრდის ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) ეკონომიკური ზრდის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) აზია-აფრიკის რეგიონსა და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ზ) ევროკავშირსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- თ) მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ი) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამერიკის კონტინენტის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- კ) საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;



- ლ) ინდუსტრიული და მომსახურების დარგების კვლევის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- მ) კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ნ) საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების ხელშეწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ო) ქვეყნის ბრენდის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- პ) ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ჟ) კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- რ) საკანონმდებლო ბაზის განვითარების კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- ს) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ტ) საკანონმდებლო ინიციატივების ლობირების და კანონის იმპლემენტაციის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- უ) მდგრადი განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი;
- ფ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ქ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი;
- ღ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ყ) პროტოკოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- შ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ჩ) სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევების ბიუროს ხელმძღვანელი;
- ც) დაგეგმვისა და კონტროლის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- ძ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- წ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №84 – ვებგვერდი, 01.03.2016წ.

## მუხლი 6

### საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში:

- ა) მინისტრის აპარატის ხელმძღვანელი;
- ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- დ) საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ე) ენერჯეტიკული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;



- ვ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თ) ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- კ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

## მუხლი 7

### საქართველოს თავდაცვის სამინისტროში:

- ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) ფინანსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- თ) თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის ხელმძღვანელი;
- ი) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- მ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ნ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ო) სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- პ) სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ჟ) სამინისტროს ადმინისტრაციის სამსახურების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- რ) სამინისტროს დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №431 - ვებგვერდი, 24.08.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №441 - ვებგვერდი, 16.09.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 სექტემბრის დადგენილება №457 - ვებგვერდი, 04.10.2016წ



## მუხლი 8

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროში:

- ა) ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- თ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) სამართალშემოქმედების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- მ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ნ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;
- ო) საქართველოს მთავარი პროკურორი, მისი მოადგილეები, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის, სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები.

## მუხლი 9

### საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში:

- ა) მინისტრის აპარატის ხელმძღვანელი;
- ბ) ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) პოპულარიზაციის, რეგიონალური პროგრამებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ე) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ვ) კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;



ზ) შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

კ) სამინისტროს შიდა სტრუქტურული ერთეულის – სამმართველოს ხელმძღვანელი.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №601 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*

## **მუხლი 10**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში:**

ა) სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე.

თ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის დადგენილება №99 – ვებგვერდი, 11.03.2015წ.*

## **მუხლი 11**

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,**

**განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში:**

ა) დევნილთა საკითხების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ვ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ი) საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი



მოადგილე;

ლ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეზობლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი;

მ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

## მუხლი 12

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში:

ა) პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) ამერიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ნ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ო) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

პ) მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ჟ) აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ჟ<sup>1</sup>) ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

რ) იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ს) საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ს<sup>1</sup>) დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ტ) საიდუმლო საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი;

ტ<sup>1</sup>) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი





მოადგილე;

ტ<sup>2</sup>) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ტ<sup>3</sup>) მინისტრის სამდივნოს ხელმძღვანელი;

უ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

ფ) სხვა სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ქ) საქართველოს საკონსულო დაწესებულებების ხელმძღვანელები;

ღ) საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩი.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №521 - ვებგვერდი, 08.10.2015წ.*

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №231 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №284 - ვებგვერდი, 01.07.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის დადგენილება №68 - ვებგვერდი, 09.02.2017წ.*

### **მუხლი 13**

#### **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში:**

ა) სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) მელიორაციის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

### **მუხლი 14**

#### **საქართველოს ფინანსთა სამინისტროში:**

ა) სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;

ბ) იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;

გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;

დ) საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;



- ე) შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;
- ვ) სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;
- ზ) საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;
- თ) მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე;
- ი) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – სამმართველოს უფროსი;
- კ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- ლ) დავების განხილვის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე;
- მ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში რისკების ანალიზის სამსახურის უფროსი;
- ნ) ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს უფროსი;
- ო) სტრუქტურული რეფორმების სამმართველოს უფროსი;
- პ) სახელმწიფო ინვესტიციებისა და საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების სამმართველოს უფროსი;
- ჟ) გადასახადის გადამხდელების მოტივირების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
- რ) სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
- ს) შემოსავლების ადმინისტრირების ხარისხის შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
- ტ) დაფინანსების შესაძლებლობების გამოვლენის სამმართველოს უფროსი;
- უ) სახელმწიფო საშინაო ვალის ინსტრუმენტების განვითარების სამმართველოს უფროსი;
- ფ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს უფროსი;
- ქ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, სახაზინო სამსახურის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები;
- ღ) შემოსავლების სამსახურის შემადგენლობაში შემავალი საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის დადგენილება №374 – ვებგვერდი, 12.06.2014წ.*

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის დადგენილება №173 – ვებგვერდი, 22.04.2014წ.*

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილება №505 - ვებგვერდი, 28.09.2015წ.*

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის დადგენილება №170 - ვებგვერდი, 31.03.2017წ.*

## **მუხლი 15**

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში:**

- ა) სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;



- ბ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- თ) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) ერთობლივი ოპერაციების ცენტრის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- მ) საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ნ) განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ო) ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- პ) სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ჟ) კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- რ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ს) დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ტ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- უ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ფ) ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ქ) მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ღ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მთავარი სამმართველოს/სამმართველოს ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- ყ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების სამმართველოს ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- შ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №702 – ვებგვერდი, 26.12.2014წ.  
 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს დადგენილება №396 - ვებგვერდი, 04.07.2015წ.  
 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №453 - ვებგვერდი, 30.09.2016წ.  
 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის დადგენილება №61 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

**მუხლი 15<sup>1</sup>**



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში:

- ა) სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ბ) გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- თ) ოპერატიული ღონისძიებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) (ამოღებულია - 29.03.2017, №158);
- მ) ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ნ) კადრების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ო) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- პ) სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- ჟ) დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს დადგენილება №396 - ვებგვერდი, 04.07.2015წ.  
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მარტის დადგენილება №158 - ვებგვერდი, 30.03.2017წ.*

## **მუხლი 16**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში:**

- ა) სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელი;
- ბ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- დ) სოციალური დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ე) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ვ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თ) (ამოღებულია - 04.05.2017, №227);
- ი) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;



კ) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 მაისის დადგენილება №227 - ვებგვერდი, 08.05.2017წ.*

### **მუხლი 17. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში:**

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) საგამომიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;

კ) ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნ) პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი;

ო) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;

პ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მთავარი სამმართველოსა და სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის დადგენილება №277 – ვებგვერდი, 19.06.2015წ.*

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №433 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.*

### **მუხლი 18**

#### **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში:**

ა) აპარატის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;



- ე) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) ევროინტეგრაციის და რეფორმების ხელშეწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- თ) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე – განყოფილების უფროსი;
- ლ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- მ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე – ტექნიკური მდივანი/მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №591 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 13.01.2017წ.*

## **მუხლი 19**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში:**

- ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

## **მუხლი 20**

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში:**

- ა) ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე.

## **მუხლი 21. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის დადგენილება №68 - ვებგვერდი, 09.02.2017წ.*



### თავი III

#### საქართველოს სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირები

##### მუხლი 22

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.
2. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლე.
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

### თავი IV

#### საქართველოს სხვა თანამდებობის პირები

##### მუხლი 23

საქართველოს პარლამენტში:

- ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე;
- ბ) იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გ) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;
- დ) კვლევითი დეპარტამენტის უფროსი;
- ე) საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;
- ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი;
- ზ) საკადრო საკითხთა დეპარტამენტის უფროსი;
- თ) სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- ი) საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი;
- კ) საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- ლ) საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი;
- მ) მანდატურის სამსახურის მანდატურთუხუცესი;
- ნ) პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი;
- ო) დეპარტამენტის უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები.

##### მუხლი 24

საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოში:

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი.

##### მუხლი 25

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში:



- ა) ადმინისტრაციის უფროსი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;
- ბ) საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი;
- გ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მისი მოადგილე;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელი;
- ე) ადმინისტრაციის უფროსის სამდივნოს ხელმძღვანელი;
- ვ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თ) პროტოკოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ი) დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- კ) ლოჯისტიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ლ) კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- მ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ნ) საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ო) სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები.

## **მუხლი 26**

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, მისი მოადგილე.

## **მუხლი 27**

**საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში:**

- ა) გენერალური აუდიტორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;
- ბ) პრეზიდენტის წევრი;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- დ) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ე) თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ვ) ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ზ) სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თ) აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
- ი) აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
- კ) ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;





- ლ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- მ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ნ) ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ო) საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- პ) სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

## **მუხლი 28**

### **1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში:**

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები;
- ბ) თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები.

### **2. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში:**

- ა) მუნიციპალიტეტის გამგებელი, მისი მოადგილე;
- ბ) თვითმმართველი ქალაქის მერი, მისი მოადგილე;
- გ) ქ. თბილისის რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე.

## **მუხლი 29**

### **საქართველოს მთავრობის კანცელარიაში:**

- ა) საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი, მისი მოადგილე;
- ბ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- დ) საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ვ) პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ზ) რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

## **მუხლი 30**

1. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი.
2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი.
3. საქართველოს სახალხო დამცველი.



4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი.

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კომისიის მდივანი.

6. საქართველოს ბიზნესომბუდსმენი და მისი მოადგილე.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №517- ვებგვერდი, 08.10.2015წ.*

### **მუხლი 31**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა რელიგიური, კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობებისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

### **მუხლი 32**

სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომლის წინა წლის ბრუნვა მოგების ყოველწლიური დეკლარაციის მიხედვით, აღემატება ასი ათას ლარს.

### **მუხლი 33**

იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და რომლის წინა წლის ბრუნვა მოგების ყოველწლიური დეკლარაციის მიხედვით, აღემატება ასი ათას ლარს, აგრეთვე, ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს (რომლის ბრუნვა მოგების ყოველწლიური დეკლარაციის მიხედვით აღემატება ასი ათას ლარს) ხელმძღვანელი.

